



ზოიგოძე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09/14/1637

ქ. თბილისი

10 07 2018 წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 8 ივნისის (ოქმი №13) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ შორენა ჭუმბურიძის (პირადი №01030002170), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა – „საჯარო მმართველობა“, სადისერტაციო თემა – „საფრანგეთისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური სისტემის შედარებითი ანალიზი“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი გიორგი ზადათურია (სტუ, თავმჯდომარე);
- პროფესორი ოთარ ქოჩორაძე (სტუ, ხელმძღვანელი);
- პროფესორი შოთა დოღონაძე (სტუ, რეცენზენტი);
- პროფესორი ვაჟა გურგენიძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რეცენზენტი);
- პროფესორი გენადი იაშვილი (სტუ);
- პროფესორი კონსტანტინე აბულაძე (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი თამარ რევაზიშვილი (სტუ);
- პროფესორი არსენ გვიმრაძე (დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, მოწვეული წევრი);
- პროფესორი ვაჟა შუბითიძე (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 17 ივლისს, 16⁰⁰ საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 105^ა აუდიტორიაში.

რექტორი

[Handwritten signature]

არჩილ ფრანგიშვილი